

## ქვის მთლელი

მე ქვის მთლელი ვიყავ და ყოველთა დღეთა თითოს ასპანურს მომცემდენ ხელფასად. მით სასმელ-საჭმელს ვიყიდდი და მის ქალაქის გლახაკთ ვაწვევდი, მცვა ვჭამი და მათცა ვაჭამი და ნამუსრევი ძაღლთა ვაჭამი. ხვალისად არა შევინახი რა. ეგრევე დღე ყოველ ვიყავი.

მოვიდა ერთი ღვთის კაცი, მეწვია, ჩემი ცხოვრება და მუშაკობა ნახა, ევედრა ღმერთსა: ერთი შენი მონა რად გლახაკად გყავსო, ესეც განამდიდრო!

ანგელოზმან რქვა მას კაცსა:

- ჩვენ მაგ კაცის ბუნება ვიცით. სიმდიდრე თუცა მივეციო, ვერ თავს იღებს.

იგი ღვთისა კაცი თავდები თურე შეიქმნა. მე არცერთი ვიცოდი ჩემისა სიმდიდრისათვის და კეთილმოქმედებისათვის.

დღესა ერთსა კლდესა ვკვეთდი. ხვრელი გამოჩნდა. გამოგვკვეე, ვნახე განძი აუარებელი, ოქრო ფრიადი. იღუმალ გავზიდე. სხვას ქვეყანას წავვლ. ესრეთ დიდი კაცი შევიქმენ, რომე მის თემის მფვის თავი-ვაზირობა მომცეს. ასი კაცი ოქროს არგანოსანი კარსა ზედა მიდგა. აღარც გლახაკი მომაგონდა და აღარც ღმერთი. ესრეთ სიხარბეს გავყევ. უთხრა ანგელოზმან თავსმდებსა ჩემსა. გამოგზავნა ჩემთან. მოვიდა კართა ზედა ჩემთა. ენება ხილვა ჩემი და შეგონება. ვინ მოუშვებდა მას ჩემთანა? დიდად გვემეს და განაძეს. რქვა ანგელოზმან თავსმდებსა ჩემსა:

- რას იტყვი შენის თავსმდებობისასა?

უთხრა მან: რა ვყო, ჩემი ბრალია და, რაც გენებოს, მიყავითო!

ანგელოზმან ეგრე უთხრა: თუცა შენ არ გეწყინება, თავისავ წერაქვს ვაძებნინებთო: კაცი იგი უარესსა იქმსო. თურე ყოველი კაცი სიმდიდრეს და პატივს ვერ შეიფერებს, ისევ სიგლახაკე უჯობსო.

აღარც იმას დავსჯერდი. ვინებე მეფის მოკვლა და ჩემი გამეფება. შეიტყო მეფემან. სხვა ყოველი კაცი ჩემი დახოცა. მე გარდმოვეხვეწე. ჩემი წერაქვის დაჯერებას ვეცადე. შიშით ველარც მუნ დავდეგ, აქ მოველ. აწ თუ უნადვლო ვიყო, შენ გასინჯე!

თქვა მეშვიდემან: